ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

12

ივნისი

1988



# ქორწილი... სახელმწიფოს ხარჯზე!..

## ფელეტონი

**ჟიათურის** რაიკოოპერატივის **სოფელ პერევისის** მაღაზიის წინ გრძელ სკამზე რამდენიმე კაცი ჩამომჯდარიყო და ტკბილად მასლაათობდა.

უკვე ღამდება და ჩვენი მაღაზიის გამგე-გამყიდველი **გიორგი პაპიძე** კი არა და არ ჩანს!.. ააშენა ღმერთმა!.. ერთობ ხელგაშლილი კაცია!.. მე პირადად **მაღაზიიდან 840 მანეთად ღირებული საწოლები და კარადები ნისიად გამომატანა.** მითხრა: — სეხნია, წაიღე ეს საქონელი, თორემ მერე გვიან იქნებაო! ვუთხარი: — კი მარა, ხომ გაგიგონია, ვალს გადახდა უნდა-მეთქი? რა მითხრა, იცი? — მოგცლია ერთი შენო! რა ფული, რის ფული, თუ მიგაქვს, წაიღე ეგ საქონელიო! — არა, ნამეტანი კარგი ყაზახია! — **გიორგი ლეთოდიანმა** სიგარეტს უცხოური სანთებელათი მოუკიდა.

საუბარში **გერვასი კუპატაძე** ჩაერია: — ნათქვამია, ვალი და სესხი არ ბერდებაო! მეც შენს დღეში ვარ, ჩემო გიორგი! ამას წინათ მაღაზიაში შევიარე, ახალი მარკის მაცივრები იყო მიღებული! მტაცა ხელი ამ ჩვენი მაღაზიის გამგემ და მეუბნება — რახან მაგ მაცივარს მოკიდე ხელი, ალბათ მოგეწონა კიდეც, ხოდა, შენი ფეშქაში იყოს! — მაცივარს ტელევიზორი მოაყოლა და — ორივეს ღირებულება 416 მანეთი როდესაც გექნება, მაშინ მომიტანეო!

— კხ!.. კხ!.. კხ!.. — ჩაიქირქილა **ელდარ სოფრომაძემ:** — რომ იტყვიან, ვერიდებოდი ღოლოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო, სწორედ ისეა. მე კიდევ, კაცო, **350 მანეთის** ღირებულების სამზარეულოს მოწყობილობა გამატანა ნისიად!..

— ნათქვამია: ვიდრე ხეს ქერქი სძვრება, მანამდე უნდა გააძროო! აკი ასეც იქცევიან ჩვენი მეზობლები: **ვალერი ცერცვაძე, ევგენი ღულუნიშვილი, გერონტი ნეფარიძე, პეტრე კუპატაძე, გიორგი წერეთელი, თინა ბიწაძე, შოთა ვაშაძე, მაგული კუპატაძე, ავთანდილ უზნაძე, თემურ ბარელაძე...** ყველანი მისი მოვალეები არიან და კიდევ ვინ იცის, რამდენი!.. ამ ჩვენს მაღაზიის გამგეს შეიძლება აღარც კი ახსოვს თავისი მოვალეები!..

— კი მაგრამ, ამ მაღაზიას პატრონი არ ჰყავს? არ ამოწმებენ? ან ნავაჭრ თანხას ბანკს არ აბარებენ? თუმცა ბანკს რაღა უნდა ჩააბაროს, როდესაც მაღაზიის საქონლის ნაშთის ნახევარზე მეტი ნისიად აქვს გაცემული!..

ამ საუბარში იყვნენ, რომ მაღაზიის წინ „ჟიგული" გაჩერდა. მანქანიდან გადმოხტა **გიორგი პაპიძე.** იგი ერთობ აღელვებული ჩანდა!.

— რაღაც ფარცაგია ამის თავს! — ჩაილაპარაკა **ოთარ წივილაშვილმა** და **პაპიძეს** შესცინა:

— გიორგი, კაცო, არ იტყვი, რა მოხდა? მთელი სახე გიცინის, ოქროს ზოდი ხომ არ იპოვე, ჰა?

— უფრო უკეთესი! ქალს ვირთავ! აპაა! რავა, არ არის დრო თუ უკვე 40 წლის კაცი ვარ, მეყოფა, რაც იყო!.. ჰოდა, მოემზადეთ, მეზობლებო, ქორწილში გპატიჟებთ! ისეთი ქორწილი უნდა გადავიხადო, რომ რაიონში კი არა, ჩემი ქორწილის ამბავმა თბილისშიც ჩაღწიოს!..

— ჩვენც აქა ვართ, გვერდში ამოგიდგებით!.. ვალსაც გადავიხდით!..

— რაო?! ვალიო?! შეაწყვეტინა **ელდარ გიორგაძეს** მომავალმა სასიძომ. — მეორედ არ გავიგონო მაგი! ფულის მეტი რა მაქვს!.. აგერ არ არის ჩემი მაღაზია?!. ბიჭებო, 5000 მანეთი ხომ მეყოფა ქორწილისათვის? კი, ხომ? ჰოდა, გელოდებით! ახლა მაცალეთ, მაღაზიაში ანგარიში უნდა დავაყენო!..

**გიორგი პაპიძე** სიტყვის კაცი იყო: 5000 მანეთი მაღაზიიდან აიღო, სამაგიეროდ ისეთი ქორწილი გამართა, მტერს თვალს დაუყენებდა!.. სასიდედროს თბილისში ნათესავთან სტუმრობისას სუფრაზე ზეთისხილი გაუსინჯავს, არ მოსწონებია, სახეც დაღრეჯია, მაგრამ რომ შეუხედავს, სხვა სტუმრები დიდი სიამოვნებით მიირთმევდნენ, ძალაუნებურად მასაც მიურთმევია!.. ჰოდა, სასიდედრომ დაიჩემა თურმე, გინდა თუ არა, საქორწილო სუფრაზე ზეთისხილი აუცილებლად უნდა იყოს, ინტელიგენტების ოჯახში ასე იციანო!.. სასიძო კი უმტკიცებდა: — ზეთისხილი თუ რაღაც ჯანდაბაა, მაგას ჩვენებური მჟავეული სჯობსო! მაგრამ სასიდედრომ არ დათმო და სუფრა ზეთისხილით აივსო, თუმცა პირი არავის არ დაუკარებია!..

ამ ზღაპრულმა ქორწილმა და **პაპიძის** გაუგონარმა ქველმოქმედებამ (რაც სახელმწიფოს საქონლის ნისიად გაცემით გამოიხატა) ბოლოს და ბოლოს ,როგორც იქნა, **ჟიათურის რაიკოოპერატივის მესვეურთა** ყურამდე მიაღწია. შეამოწმეს მაღაზია და თავში ხელი შემოიკრეს: **რაღაც ექვს თვეში 1986 წლის 5 სექტემბრიდან 1987 წლის 1 მარტამდე მაღაზიის გამგე-გამყიდველ გიორგი პაპიძეს თავისი ქორწილისათვის დახლიდან აუღია და დაუხარჯავს 5000 მანეთი, შემდეგ კიდევ დაუმატებია 4182 მანეთი და სულ მითვისებული აღმოაჩნდა 9182 მანეთი!.. ნისიად გაუცია 8810 მანეთის სამრეწველო საქონელი!.. ცუდი მოვლის გამო 2648 მანეთის საქონელი აღმოაჩნდა უხარისხო, 4661 მანეთის საქონელს, საერთოდ, არტიკული არ აღმოაჩნდა და მატერიალურმა ზარალმა 18001 მანეთი შეადგინა...**

**6 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით, სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით მატერიალურ პასუხისმგებელ პირად მუშაობის აკრძალვა!** — ღირდა კი ყოველივე ამად ეს? — ხშირად უსვამს ახლა ამ კითხვას შრომა-გამასწორებელ კოლონიაში თავის თავს **გიორგი პაპიძე** და თვითონვე უპასუხებს: — ისე გამოვიდა, როგორც ქართულ ანდაზაშია. ესიკელას ქორწილი, გოგიელას ხარჯიო!..

**ზაალ მესხენგისერი,**
**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.**

ნახ. ბ ზუბაშვილისა



უსიტყვოდ

# ლილო ბუკია ნიკ: საზიზულ-იმიტომ

## ლირიკა

X X X

მკვლელს თუ წაართვი დანა და
თუ გამოაგდე სოფლიდან,
და არვინ არ გაგამართლა, —
სხვებიც მკვლელები ყოფილან!
ლოთს თუ არ უშვებ მარანთან,
თუ უთხარ: — „შენი ოფლითა!..“
და არვინ არ გაგამართლა, —
სხვებიც ლოთები ყოფილან!
ქრთამის მიმცემს თუ გაათრევ
და თუ აძევებ სოფლიდან,
და თუ არავინ გამართლებს, —
ყველა ასეთი ყოფილა!
ტირიან, სანთლებს ანთებენ,
რომ მოსპონ დანაშაული!..
ეგ თქვენი თავის მართლება
მსაჯულს არ უღირს შაურიც!
დაჩაგრულს ხელს თუ გაუწვდი,
ნდობას იპოვი ნდობითა,
და თუ არავინ გამართლებს, —
ყველა მჩაგვრელი ყოფილა!
თუ დამნაშავე დასაჯე,
მისნაირს სწყინს და უკვირს,
ის კი მენ გლოცავს ათასჯერ,



ვისაც არ ეწვის კუდი!
მკვლელის მკვლელს ღმერთი
აცხონებს,
ქურდის ქურდს როგორ დავსჯი?!
ქონება — უქონს და მცოდნეს,
ძუნწს მოუვიდეს ხარჯი!
ჭირიანს თუ არ მალავ და
თუ გამოაგდე სოფლიდან,
და არვინ არ გაგამართლა, —
შენზე კეთილნი ყოფილან?..
და იღაღადებ როს მართალს
წინაშე ამა სოფლისა,
თუ არვინ არ გაგამართლა, —
თვით მიხვდი, ვინცა ყოფილან!

X X X

ცურვას ვერ ისწავლის ჯორი,
იმად რჩება, რაც იყო.
თევზს წყალზემოთ ვერ აჯობებს,
ჩუმად, წყალქვეშ ჩაწიხლავს!
ფრენას ვერ ისწავლის გველი,
რაც არ უნდა ელოდო.
არწივს ლოცავს მიწის ზემოთ,
უკბენს მიწის ქვემოდან!
თევზი ცურავს! — არის სწორი
და რად უნდა მტკიცება?
არ იწვრთნება გველი, ჯორი,
არც არწივი იწვრთნება!

X X X

ლექსს კითხულობდა ისეთი რიხით
და მსმენელს ისე მიასაღებდა, —
ეჩვენებოდა ტროლოლად იხვი
და მიიღებდა იმ ლექსს კარგ
ლექსად.
ლექსს კითხულობდა ისეთი
რიხით, —
მტრისას! — ვერაფერს
გაუბედავდი!..

ჰო, მაგრამ იხვად დარჩება იხვი,
და თან მიხვდება რამეს ნეტავი?

X X X

უნდა ვებრძოლოთ ნაკლოვანებებს,
ნაკლოვანება თავს არ გვანებებს!
რომ დაიწონოს მეტი სასწორმა,
ვინ რას იტყვის და ვინ რას არ
იტყვის!
ძველ ლექსებს ახალ თარიღს
აწერენ,
ახალ ლექსს წერენ ძველი
თარიღით!..
რას არ ახერხებს ვაი-პოეტი,
რომ დრო მოირგოს და დროს
მოერგოს!
დიახაც, ვებრძვით ნაკლოვანებებს!
ნაკლოვანება თავს არ გვანებებს!

X X X

დატოვებს სტუმრებს, კარნავალს,
სხვის მხარეს იწყებს ბორიალს!..
ასეა — სადაც არა ვართ,
იქ უკეთესი გვგონია!
თუმცა არ არის არც ცუდად
და ერგო, რისიც ღირსია,
მაინცდამაინც ის უნდა,
რაც სხვას ერგო და სხვისია!
აბა, ვიფიქროთ მე და შენ,
ჩემო ლამაზო და კარგო,
სხვისი ქონების დევნაში
რაც გვაქვს, ისიც არ დავკარგოთ!

X X X

„სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა...“
დ. გურამიშვილი

რადგან ყვავს თვისი ბახალა
უყვარს,
უწვრთელი შვილი მაინც იზრდება
და უწვრთელ მშობლად
გარდაიქცევა!
მერედა რა ქნას შვილმა,
რომელიც
უწვრთელი მშობლის ხელში
მოექცა?
ან — კარგი მშობლის შვილმა,
რომელიც
უწვრთი მეგობრის გვერდით
მოექცა?
ან — კარგი მწვრთნელის მყოლმა,
რომელიც
უწვრთი დედ-მამის ხელში მოექცა?
ერთი იყო და გახდება ასი
და ერთი ლირწი ას სუფთას
გასვრის!..
მაგრამ ყვავს თვისი ბახალა უყვარს
და ასე... მუმლი ეხვევა მუხას!..

### სავიზიტო ბარათი

ზოგი, ჩვენში დარჩეს და,
თითად აქცევს არათითს,
თუ დასჭირდა ამჯერად
სავიზიტო ბარათი!..
თავის საქმეს აკეთებს,
რის წესი და ადათი?!.
არც მეტი, არც ნაკლები,
შენ ხარ მისთვის საქები
სავიზიტო ბარათი!..
თავზეც შემოგევლება,
საჩუქარსაც მოგართმევს,
თუკი არ გამოადექ,
მყის სხვას გაედევნება!..
კარს შენს გამო უღებენ
და როგორ მოიშორებ?!
თუ დაძველდი, უკეთესს —
ახალ ბარათს იშოვის!
ზოგი, ჩვენში დარჩეს და,
ცერად აქცევს არათითს,
თუ დასჭირდა ამჯერად
სავიზიტო ბარათი!



X X X

რამდენიც გინდა, შენ უდარაჯე,
როცა დარაჯი იპარავს თვითონ!..
დარაჯს თუ შეცვლი და ძველს არა
სჯობს,
მაშინ სად უნდა ეძიო ხვითო?
რამდენიც გინდა, შენ ასამართლე,
თუ მოსამართლე იფარავს
თვითონ!..
და დამნაშავე აქეთ ბრალს
დაგდებს,
შენს დასჯას და შენს გაგდებას
ითხოვს!
რამდენიც გინდა, ილაპარაკე,
თუ არ მოგისმენს, ვისთვისაც
ამბობ!..
და დრო კი მიდის, როგორც
ზვარაკი!..
ო, რა მძიმე ხარ ხანდახან წამო!

### უსახელოდ დაკარგული პოეტი

მას არაფერი არ უყვარს
პოეზიისა გარდა!
გაურბის მზაკვრულ საუბარს
ტიტულის მძებნელ გვამთა!..
არ უძებნია დიდება,
დიდებას ის უყვარდა!
მას არაფერი სჭირდება
პოეზიისა გარდა!
ის არ დაეძებს არჩევანს,
ის დგას ერთადერთ კართან
და მისგან არც რა დარჩება
პოეზიისა გარდა!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

## იუმორესკა

**მოულოდნელად** გამომიძახა უფროსმა. მივდივარ, მივდივარ, მაგრამ ვაი ამ წახვლას! ფეხები მეკეცება, სული მეხუთება!.. დერეფნის კედლები სადღაც მიექანება, ფანჯრის ჩარჩოები რაღაც უცნაურად მრუდდება და ჩემ წინ უნაპირო ცისფერი შორეთი იშლება!..

— აბა, მაშ, ეს თქვენ ბრძანდებით, არა?! — მეუბნება უფროსი, — თქვენ მაკრიტიკებდით, დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას არ მაძლევსო?! გაეთრიეთ!.. თქვენი ფეხი არ ვნახო ჩემს განყოფილებაში!..

და ვეება მუშტს მძლავრად ურტყამს მაგიდას.

— გოგი, გოგი! — სულ ახლოდან ბებიაჩემის ხმა მესმის, — გოგი, რა გაუვირებს, ძილშიც აღარ უნდა მოისვენო? რა დაგესიზმრა ასეთი? — მანჯღრევს ბებია და საბოლოოდ მაფხ'ლებს: — უკვე ადგომის დროა!

— არა, ბები, — ვუპასუხებ და თვალებს ვიფშვნეტ, — ისე, უბრალოდ წამოვიუვირე.

და სიზმარზე ვიწყებ ფიქრს. ღმერთო ჩემო! თუკი ახლა ეს დაწყეტილი სიზმარი, ცუდად წავა ჩემი საქმე!.. მახსოვს, მამამ მ,ამბო ერთხელ, რა უქნეს კრიტიკისათვის... თუმცა რა ბედენაა? ის ამბავი ხომ ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა...

განყოფილება სამარისებური სიჩუმით მხვდება.

— უფროსი გელოდებათ! — მესმის ვიღაცის ხმა და მეც მივდივარ, მივდივარ, მაგრამ ვაი ამ წახვლას!.. ფეხები მეკეცება, სული მეხუთება!.. დერეფნის კედლები სადღაც მიექანება, ფანჯრის ჩარჩოები რაღაც უცნაურად მრუდდება და ჩემ წინ უნაპირო ცისფერი შორეთი იშლება!..

— აბა, მაშ ეს თქვენ ბრძანდებით, არა? თქვენ მაკრიტიკებდით ხომ, დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას არ მაძლევსო?! შეხედეთ! შეხედეთ, მაგიდაზე ახალი საპროექტო დავალება ძევს! მხოლოდ თქვენ გავალებთ მის შესრულებას! დამოუკიდებლად იმუშავეთ! ყოჩაღ, ყოჩაღ! მომწონხართ!.. გულადი ყოფილხართ, კრიტიკისა რომ არ შეგეშინდათ!..

და ვეება მუშტს მძლავრად ურტყამს მაგიდას.

— გოგი, კარგი რა, გოგი! — ეს ისევ ბებია. ეტყობა, ისევ ვიუვირე სიზმარში. — სამსახურში დააგვიანებ, უკვე რვის ნახევარია! — ამბობს იგი და სამზარეულოში გადის.

— ბები, ბები! — ვუვირი სააბაზანოდან, — ერთი ეს მითხარი, მაინც რომელი სიზმარი ახდება ხოლმე, პირველი თუ მეორე?

— რომელიც შენ მოგწონს, — ბურტყუნით მეუბნება ჩემი დიპლომატი ბებია.

სამსახურში მისვლა ვერ მოვასწარი, რომ უფროსმა გამომიძახა. „ღმერთო, შენ მიშველე!" — ეხლა გავიფიქრე და წავჩანჩალდი.

აი, რას გეტყვით, — მითხრა უფროსმა, — ბევრი ვიფიქრე თქვენს კრიტიკულ გამოსვლაზე და გულახდილად გიცხადებთ, რომ მართალი ბრძანდებით, ამიერიდან დამოუკიდებლად იმუშავებთ, მაგრამ რახან მაინც ახალგაზრდა ინჟინერი ხართ, უფროსი ამხანაგები დაგეხმარებიან! მე თქვენ მიგამაგრებთ ოთხ უფროს ინჟინერს, ჯგუფის სამ ინჟინერს, ლაბორატორიის ორ უფროსს და მხოლოდ ერთ განყოფილების გამგეს, ესე იგი მე. — და მან ფანჯარაში გაიხედა. ფანჯრიდან კი უნაპირო ცისფერი შორეთი იშლებოდა...

„ჰო, — გამიელვა თავში, — ახლა ეს ჩემი უფროსი თავის ვეება მუშტს მძლავრად დაარტყამს მაგიდას და მეც გამომელვიძება".

— აბა, რას გაჩუმებულხართ? — მითხრა უფროსმა — წადით. წადით და იმუშავეთ დამოუკიდებლად!

ანა კორინთელი

# ნაკვესები

● **ერთი** ყმაწვილი კალათის შიშის ქალაქში მოკალათდა.

● **იხვიც** ვიტვიტებს, მაგრამ უხვი მოსავალი არ მოჰყავს.

● **ლეკვი** ლომისა სწორია, ხოლო უფულო ფულიანთან — არა.

● **უფროსს** უცინოდა და სიცილია მოინახულა.

● **ფულის** შენახვა უყვარდა და სინდისი შეელახა.

● **რწყილი** და ჭიანჭველა დამბობილდნენ და ზოგი მეზობლები — არა.

● **თბილისურმა** სითბომ სოფელში ბევრი კერა გააცივა.

● **ლოთები** წაცევაზე სვამდნენ და მიკიტანმა ოჯახი ფეხზე დააყენა.

● **წალდი** იმიტომ არ უჭრიდა, რომ წადილი არ ჰქონდა.

● **სასაუზმე** „გემო" კერძო იყო, კერძი კი — სახელმწიფოსი.

● **ოქროს** მონეტებით ჯიბე რომ გაევსო, მომენტებს ეძებდა.

● **არაყმა** ცხოვრებიდან გარიყა.

● **სკოლა** სამებზე დაამთავრა და თანამდებობის სკამებზე ხშირად იჯდა.

● **რესტორნის** დირექტორი როსტევან მეფეზე უკეთ ცხოვრობდა.

● **ჯიგბირი** იმდენს არა და, მისი დამჭერი მეტს იჯიბავდა.

● **ლოთი** ჯერ ჭიქას ეცემოდა, მერე — უდანაშაულოს.

● **შამპანურით** დათვრა და შიმპანზეს დაემსგავსა.

● **შურიანი** კაცი შაურადაც არ ფასობდა.

● **მეტი** რა უნდა იაგოს, ფულის შოვნის გზას მიაგნო.

● **გარჯა** არ უყვარდა, მაგრამ განჯინა სავსე ჰქონდა.

● **ციხეს** კონტიგენტს „ცეხები" უგზავნიდა.

● **ერთმა** კომბინატორმა — ხელს მოვითბობო, და ზედმეტი გამოუვიდა — დაიწვა.

● **მამის** კისერზე ჯდომა ეამა და არ ჩამოდიოდა.

● **უპატიოსნობა** არ მიატოვა, სანამ არ გააპატიოსნეს.

ოთარ ნაჭუებია
(ქ. სოხუმი)



ნახ. გ. ლომიძისა

— ვინაა ეს უთავო?!.

— ჩვენთან მოანგარიშედ ითვლება, ბატონო, თავი კი კოოპერატივში აქვს დადებული!..

ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გავიშველოთ, თორემ დახოცეს ცრუმანელთი!..
— რას ჭკვია გავიშველოთ?! ვაცალოთ საკუთარი აზრის გამოთქმა ხალხს!

# მხოლოდ ჭამად და სმად!..

აღარც — სიმღერა და ცეკვა,
აღარც — ლექსი და ზმა!..
ქორწილი გადაგვიკეთდა
მხოლოდ ჭამად და სმად!..
ნეფეა ჩაგოდრიბული,
არც პატარძალი — ყმაწვილი!..
შნოსაგან გავკოტრებულვართ,
სად გაქრა ხალხი ტანწვრილი?
ხორაგით სავსე მაგიდას
მართავს უგნურის ხელი!..
— დალიე! — მეტს რას დაგიდევს
თამადა, ფუთის მსმელი!..
თან ელექტრონის იმედით
ყურიალებს ინსტრუმენტები!..
ფანდურო, ვინ გაგიმეტა?
ჩონგურო, მეიმედები?
აღარც — სიმღერა და ცეკვა,
აღარც — ლექსი და ზმა!..
ქორწილი გადაგვიკეთდა
მხოლოდ ჭამად და სმად!..

**ჯემალ დოგორჯგინიძე**

(ლანჩხუთის რაიონი, სოფელი მამათი).

# კაცუნა

„ზოგსა კაცსა კაცი აქვიან,
ზოგსა კაცსა — კაცუნა...“,
დიდი კაცი სკამს ამშვენებს,
სკამი — ცრუ კაცმაცუნას!..
დიდ კაცს თავი დახრილი აქვს,
ფიქრობს ხალხზე, ერზე!..
კაცუნა კაცს, თავანწეულს,
სკამი უდგას ღერძზე,
ტრიალებს და მაღლა იწევს,
ეძებს ფულს და სახელს,
კაბინეტში ჩაკეტილი
შიგ არ უშვებს მნახველს!..
თათბირებზე სიტყვას ამბობს,
გარდაქმნისთვის „იწვის“,
ორპირობით ლელო გააქვს.
მხოლოდ მისთვის იღვწის!..
„ზოგსა კაცსა კაცი აქვიან,
ზოგსა კაცსა — კაცუნა“...,
დიდი კაცი ხალხს ამშვენებს,
ხალხს ზედ აზის კაცუნა.

**სოლომონ ლაფაური**

# მოქალაქე

ნოველა

**ლეონიდ. ი ფ ჩ ა ნ ი ნ ი** ალმასიანი ადამის დროინდელი ცალკარიანი ავტობუსი. თოფლაკაანი ალაფული ქვაფენილზე ძლიერს ბიბინაებდა, ცხელის ისე ბრწყვდა, იფიქრებდი, სადაცა მზრა-ოკეანეზე წამოიგორებდაო.

ფირანაა შემკბილთანა ჩაფრენილი ნინა სკამის საზურგეზე და ბრაზობდა: „რაღა ამ ავტობუსში ამოვეგორე, ჩემზეა ნათქვამი უნნი ბეზი ფოლტეს! დაიდგაო". თანამშრომლები ერთად მოეკიბალდეთ! — ეიღაცამ ამოაფარტაცა და ამანაც ხაორი ეკიდო ბაუტეკა, ფეხის ბმას აპეკი.

„ბეკ, ეკეთას! ბაუნენრი, ეს როცა ალოდდება, მაკდარი ეკეთ დამაბეზელი ეკოოლენ! ფალეთ ფალეთ ბეკ! ინ ალ ინ ან ამ ეკეთასეზეკ! ანდა... მოკალეკ, კაეი ეზდი ზენი ჩაკეთ ცხოეროზე!..

ოროკოეკ ინნა, ალნეეს, ჩამოიკრიბენენ თითი-თით

# ინტერვიუ ცხოველთა საკუთრებთან

**ალბატროსს შეეკითხნენ:**

— ჩვენ ვიცით, რომ სხვა ფრთოსნებზე შორს დაფრინავთ, შეუსვენებლად ფარავთ უზარმაზარ მანძილს, საიდან გაქვთ ამხელა ძალა?

— ეს ძალა კი არა, სისუსტეა, — მიუგო ალბატროსმა, — მე ძალიან მეშინია მიწაზე დაშვებისა!..

-:-:-

**კანარის ჩიტს შეეკითხნენ:**

— რა განსხვავებაა თქვენსა და ბულბულის გალობას შორის?

— მხატვრული ღირსების თვალსაზრისით არავითარი, — მიუგო კანარის ჩიტმა, — მაგრამ მე ერთი უპირატესობა მაქვს.

— რა გაქვთ მხედველობაში? — ჩაეძიენ.

— ბულბულისაგან განსხვავებით შემიძლია გალიაშიც ვიგალობო! — უპასუხა კანარის ჩიტმა.

-:-:-

**ნიანგს დაუსვეს კითხვა:**

— ყველაზე მეტად რას აფასებთ ცხოვრებაში?

— საკუთარ ტყავს! — მიუგო ალიგატორმა.

-:-:-

**კიბოს ჰკითხეს:**

— თქვენი დევიზი?

— მხოლოდ წინ! — უპასუხა კიბომ.

-:-:-

— რატომ ხართ ასე ავი? — შეეკითხნენ ძაღლს.

— ავი კი არა, კეთილი და სტუმართმოყვარე ვარ, მაგრამ საგულდაგულოდ ვმალავ ამას.

— რატომ?

— მეშინია ადგილი არ დავკარგო! — ალერსიანად მიუგო ძაღლმა.

-:-:-

**კითხვით მიმართეს კეპარდს:**

— ცნობილია, რომ თქვენ ყველაზე სწრაფი მხეცი ხართ და შეგიძლიათ საათში 110 კილომეტრი სიჩქარე განავითაროთ...

— მაპატიეთ, — შეაწყვეტინა გეპარდმა, — დასახლებულ ადგილებში მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს განვავითარო მხოლოდ 60 კილომეტრი საათში. მიუხედავად ამისა, არავის ვურჩევ ჩემთან შეჯახებას!

„ლიტერატურნაია გაზეტადან“ თარგმნა **ელგუჯა მერაბიშვილმა**

ნახ. გ. პეტრიაშვილისა

— აქ რამ მოგიყვანა, შე ბარაქიანო, შენა?!.

## ჩვენ ხომ განათლებული ვართ ყველა!..

დავიპყარით ცოდნის ყველა მყინვარწვერი,
ახლაც ისევ გაჭრილი ვართ ველად.
ვეძებეთ და, როგორც იყო, მივაგენით! —
ოურმე განათლებული ვართ ყველა!

ათი შვილი? ხუთი შვილი? ვისღა უნდა,
დრო ვისღა აქვს, იდგეს აკვნის მცველად?!
ერთი შვილის სიყვარულიც მიდის
გულთან! —
ჩვენ ხომ განათლებული ვართ ყველა!

ბარი? თოხი? ცეცხლის ალზე რკინის
წრთობა?
ვის სცალია ახლა მოსაცელად?
ყველას გვინდა კაბინეტი, დიდკაცობა! —
ჩვენ ხომ განათლებული ვართ ყველა!

მივატოვეთ ორღობე და სოფლის გზები,
მამა-პაპის ფუძე ითხოვს შველას!..
მივილტვით და თბილის-ქალაქს
ვეხიზნებით! —
ჩვენ ხომ განათლებული ვართ ყველა!

რას ჩურჩულებს მოჩხრიალე მთიდან წყარო,
ანდა ასე რატომ თრთის და ღელავს?
რად არ ვამბობთ, ვიცინოთ თუ ცრემლი
ვღვაროთ?! —
ჩვენ ხომ განათლებული ვართ ყველა!

**ვახტანგ გორგანელი**

# ყოფილი ლიტერატურული

## უფროსის წაბაძვით

— ეჰ, წავალ ახლა სახლში, ჩემს ცოლს ნიგვზიანი ლობიო შევუკვეთე სადილად და ერთი გემოზე შევექცევი! — ეუბნება ბაღში სასეირნოდ გამოსული ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, ახლა კი პენსიონერი ვარლამ დათეშიძე ასევე პენსიონერ ნოშრევან შამანაძეს.

— ლობიოს სახელი არ გამაგონო, ჭირივით მეჯავრება!..

— რა მოხდა, არ იტყვი? ლობიო რომ რაჭველ კაცს სძულდეს, პირველად მესმის!..

— აი, რა მოხდა: ერთი უფროსი მყავდა. ნამეტანი უყვარდა ლობიო. მე მისი მოადგილე ვიყავი და დღეში სამჯერ მაინც დავყავდი ლობიოს საჭმელად; უჩემოდ ლუკმას არ იდებდა პირში. ასე ვჭამე ლობიო იძულებით კაი თორმეტი წელი. მის მერე შემძულდა იგი.



— შე კაი კაცო, ჩემთან შედარებით ბედნიერი ყოფილხარ, კუჭს მაინც იძღებდი. მე დირექტორი მყავდა, ბილიარდზე იყო შეყვარებული. როგორც კი მოიცლიდა, დამირეკავდა:

— აბა, ვარლამ, წავიდეთ საბილიარდოში!

მე ბილიარდის თამაშის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო!.. მასთან ერთად ვუვლიდი გარშემო მაგიდას, „ვგულშემატკივრობდი" — მე ხშირად მშიერი, ის კი — ყოველთვის დანაყრებული (საჭმელი კაბინეტში მიჰქონდათ). ასე გაგრძელდა მთელი თხუთმეტი წელი. მას შემდეგ ბილიარდს რომ ახსენებენ, ტანზე მაყრის!..

## ასე იცის დაგვიანებამ

— ამოდენა ვაჟკაცს ერთი ბავშვის მეტი არ გყავს, არა გრცხვენია? — ეუბნება მეგობარი ამირანს.

— დიახაც რომ მრცხვენია! მეორე და მესამე შვილის გაჩენის „საშუალებაც" არის, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ცოლის შერთვა დავაგვიანე და ახლა საბავშვო ბაღში ბიჭის წამოსაყვანად რომ მივდივარ, ჩემს პირმშოს ბავშვები ბიახარებენ:

— ნიკო, ბაბუაშენი მოვიდა!

მეორე და მესამე შვილი რომ გაგვიჩნდეს და ბაღში მივიყვანოთ, ალბათ პაპისპაპად მომნათლავენ მათი ამხანაგები.

## ყველაზე მოკლე წერილი

რაჭველი გლეხი ალექსი, რომელსაც დურგლობა ემარჯვებოდა, ზამთარში „საშოვარზე" წავიდა.

ელოდნენ შინ მის წერილს ერთ თვეს და, როგორც იქნა, მიიღეს რამდენიმესიტყვიანი ბარათი: „თქვენი ჯავრი არა მაქვს და ნურც ჩემზე იდარდებთ!"

ეს იყო მისი პირველი წერილიც და უკანასკნელიც. სააღდგომოდ ალექსი უკვე თავის სახლში იყო ჯანმრთელი და საღ-სალამათი.

**ვაჟა სოხაძე**

(ქ. ამბროლაური)




ნახ. მ. საჩხერელისა

**უსიტყვოდ**


**სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 12** (1766), ივნისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი **ზაურ ბოლქვაძე**

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ ადეიშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან ხიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი **ირაკლი დუნდუა**

გადაეცა ასაწყობად 13. 05. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 06. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი **1,5. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ** ცკ-ის **გამომცემლობა**, ლენინის 14, შეკვ. 1303 უე 04772 ტირაჟი 139000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.**

**ტელეფონები:** მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

**Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.**

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

88-405
7-88
ეროვნული ბიბლიოთეკა